MES 1 23 0000349519

28/03/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023წლის 14 მარტს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

https://us02web.zoom.us/j/89525534276?pwd=Yk1qQjFuK0V6UTh6eTY1RkIvQXZVQT09

Meeting ID: 895 2553 4276

Passcode: 066517

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნინო შუბითიძე - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მსოფლიო ბანკის ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის მონიტორინგის, შეფასების, კვლევისა და ანგარიშგების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა
ვახტანგ ბერიძე - დირექტორი
მაია ანანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
თამარ მაჭავარიანი - ქორეოგრაფიული განყოფილების უფროსი

ა(ა)იპ კოლეჯი განთიადი
ირაკლი მირუაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“
ვასილ იორამაშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი
ლელა მერაბიშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს, სასწავლო ცენტრის თანამშრომელი

ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ-2“
თამარ ზაქარაშვილი - დირექტორი
თამთა კვინიკაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
კონსტანტინე ქავთარაძე - ფინანსური მენეჯერი
ელისო ჯიქიძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი

სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
მამია ჯანჯალია - დირექტორი
ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

ნიკა ყრუაშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი
თამილა შერმადინი - პროფესიული განათლების მასწავლებელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
კარმენ ვართანოვა
გივი დოლიძე
გიორგი დათუკიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ ზაირა ბერიძეს.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ,,ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 4 მაისის №447194 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის „კვების ობიექტების სერვისი და სერვირება“ /01508/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ /01530/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ-2“-ის „მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01552/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „PHP დეველოპინგის“ /01544/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ /01545/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. ,,ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 4 მაისის №447194 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა, მან აღნიშნა, რომ საქმე ეხება ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამას, „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“, გადაწყვეტილება მიღებულია 2022 წლის 4 მაისს, გადაწყვეტილების №447194, სამსახურმა აღმოაჩინა ეს უზუსტობა, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება დაწესებულებასთან შეთანხმებული იყო, გადაწყვეტილების დანართში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო დონე ნაცვლად მეხუთე დონისა, მითითებული იყო მესამე, აქედან გამომდინარე წარადგინა სამსახურმა საბჭოზე, რომ დანართში დაკორექტირდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე. საბჭოს გადმოეგზავნა გადაწყვეტილების და გადაწყვეტილების დანართის პროექტი, რომელშიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე ჩასწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 4 მაისის №447194 **გადაწყვეტილებაში** ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ' პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების

პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 4 მაისის №447194 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**

2. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის „კვების ობიექტების სერვისი და სერვირება“ /01508/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა ზაირა ბერიძემ მიმართა საბჭოს წევრებს და ცენტრის წარმომადგენლებს, რომ ამ საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას, ვინაიდან როგორც დარგის ექსპერტი, ჩართული იყო ამ პროგრამის შემუშავებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას დაუფიქსირდა ხარვეზი და განესაზღვრა საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღე, რომელიც დარღვეული იქნა, დაწესებულებამ განსაზღვრულ დროში ვერ გაასწორა ხარვეზი. ხარვეზი ეხებოდა განმახორციელებელი პირის შესახებ ინფორმაციას, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით და ვიზიტის დროს ინტერვიუირების შედეგად დასკვნაში ასახული იყო, რომ განმახორციელებელი პირის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო საკმარისი განმახორციელებელი პირის კვალიფიკაციის დასადასტურებლად.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა გაიმართა 9 დეკემბერს, ელექტრონულ სისტემაში ხარვეზი გასწორებულია 10 იანვარს, მაშინ როდესაც ხარვეზის გამოსწორების ვადა 8 იანვარს ამოიწურა, ხარვეზის გასწორება აისახა ელ. სისტემაში, დამატებით 10 იანვარს წარმოდგენილ იქნა ცნობა რესტორანი „გამარჯობიდან“ განმახორციელებელი პირის ირაკლი მირუაშვილის შესახებ, რომ იგი ნამდვილად მუშაობდა 2017 წლის მარტიდან 2017 წლის ნოემბრამდე მიმტანის პოზიციაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ცნობას სამწუხაროდ არ ჰქონდა ბეჭედი, მხოლოდ დირექტორის ბატონ თენგიზ გვარამაძის ხელმოწერა ჰქონდა და დათარიღებული იყო 2022 წლის 26 დეკემბრით. ეს ცნობა გარკვეულწილად ვადის მიღმა იყო წარმოდგენილი, თუმცა მიუხედავად ამისა დარგის ექსპერტმაც ჩახედა, თუმცა ამის შემდეგ ცნობის გარდა დარგის ექსპერტი დაინტერესდა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი განმახორციელებელი პირი ირაკლი მირუაშვილი ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობს სრულ განაკვეთზე. ცენტრმა წერილი გაუგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტს, წერილი სამინისტროდან მიღებულ იქნა 21 იანვარს, წერილში აღნიშნულია, რომ პროფესიული განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის აკადემიური საათების მაქსიმალური ოდენობა, რომლის განხორციელების უფლება აქვს სრულ განაკვეთზე მომუშავე ადმინისტრაციულ თანამშრომელს. აღნიშნული, რიგ შემთხვევებში, რეგულირდება საგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი რეგულაციის დადგენის ვალდებულება მოქმედი კანონმდებლობით არ არსებობს. თუმცა მიზანშეწონილია, დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან, გათვალისწინებულ იქნას რამდენად ხარისხიანად შეძლებს თანამშრომელი მისი ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას, კვირაში 18 საათიანი დატვირთვით აკადემიური საქმიანობის პირობებში და რამდენად ეფექტური იქნება მისი, როგორც მასწავლებლის საქმიანობა კვირაში 58 საათიანი დატვირთვით. დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, დაწესებულების მიერ მოძიებულ იქნას პროგრამის განმახორციელებელი, რომელსაც, ოფიციალური დოკუმენტაციით დაუდასტურდება პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება. ამის შემდეგ 6 თებერვალს კოლეჯ „განთიადის“ მხრიდან წარმოდგენილ იქნა დამატებით განმახორციელებელი პირის დოკუმენტაცია, თუმცა ვინაიდან მათგან დოკუმენტაციის წარმოდგენის ყველა ვადები გასული იყო, ექსპერტის მხრიდან ეს დოკუმენტაცია არ შეფასებულა ამ წარმოების ფარგლებში, ეს არის ის ფაქტობრივი მდგომარეობა რაც არის ამ ეტაპზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოზიცია და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ არგუმენტები, თუ რატომ ვერ მოხერხდა 30 კალენდარული დღის ვადაში დოკუმენტაციის წარმოდგენა, რა დაბრკოლებები ჰქონდა დაწესებულებას ამასთან დაკავშირებით. მან დასძინა, რომ ვინაიდან საბჭო ხელმძღვანელობს №131 დადგენილების მე-11 მუხლის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე, ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

ვადის დარღვევასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ირაკლი მირუაშვილმა განმარტა, რომ ვადის დარღვევა დაკავშირებული იყო გარკვეულ მიზეზებთან, ხოლო რაც შეეხება წარმოდგენილ ცნობას, ბატონი გვარამაძე არ იმყოფებოდა საქართველოში, რამაც გამოიწვია ვადების დარღვევა.
ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ვინაიდან ცნობა დათარიღებულია 26 დეკემბრით, რა დროს გადაეცა ეს ცნობა დაწესებულებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ცნობა მან მიიღო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გვიან, რამაც გამოიწვია განსაზღვრული ვადის დარღვევა. ის ასევე შეეხო დამატებით განმახორციელებელი პირის მოძიების საკითხს და დასძინა, რომ ვერ მოხერხდა დროულად ასეთი პირის მოძიება, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ წინასაახალწლო უქმე დღეები დაემთხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა საბჭოს წევრებს გასულიყვნენ სათათბიროდ.
საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რამდენად აქვს ინტერესი დაწესებულებას განახორციელოს ეს პროგრამა, ასევე დაინტერესდა თუ იმყოფებოდა სხდომაზე ის დამსაქმებელი, და როგორია დაწესებულების გრძელვადიანი გეგმები ამ პროგრამასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ წინა საბჭოს ორივე დამსაქმებელი ესწრებოდა, თუმცა სამწუხაროდ დღეს ვერ მოახერხეს დასწრება და ბოდიში მოუხადა საბჭოს წევრებს.
მარიამ ქუჩულორია ასევე დაინტერესდა, პროგრამის განხორციელების სურვილი დაწესებულების ინიციატივა იყო, თუ დამსაქმებლის, რატომ დადგა ამ პროგრამის განხორციელების საკითხი, რაზეც ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა შემუშავდა EDEC-ის პროექტის ფარგლებში, მარიამ ქუჩულორია დაინტერესდა, ესწრებოდა თუ არა პროექტის მენეჯერი, რომ მას განემარტა მთავარი მოტივაცია ამ პროგრამის შემუშავებისა, ნამდვილად საჭიროა თუ არა ამ პროგრამის განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩატარდა მოკვლევა, რამაც აჩვენა, რომ ეს პროგრამა იყო მოთხოვნადი, რაც დაადასტურეს დამსაქმებლებმა და ასევე პროექტის მენეჯერმა წინა საბჭოზე.
მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულებას, რომ საკმაოდ მარტივი დასაკმაყოფილებელი იყო ის პატარა ხარვეზი, მან დასძინა, რომ ცნობაზე იყო თუ არა ბეჭედი დასმული, ეს სამართლებრივად ნაკლები პრობლემაა, რატომ მოხდა ერთი დღით დაგვიანება, რატომ გახანგრძლივდა ეს პროცესი, რატომ არ იყო დამსაქმებელი დაინტერესებული და რა გახდა ამ შეფერხების მიზეზი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისეთი კვალიფიკაციის პირის მოძიება, რომელიც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, რეგიონში გაჭირდა, თუმცა ირაკლი მირუაშვილი აკმაყოფილებდა ყველა კრიტერიუმს, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში კომპანიის წარმომადგენლებიც არიან ჩართული, თუმცა თეორიული კომპონენტისთვის ადგილზე ვერ მოხერხდა ასეთი განმახორციელებლის მოძიება. ამჟამად მოძიებული პირიც მოწვეულ იქნა თბილისიდან.

მარიამ ქუჩულორია დაინტერესდა, თუ რა გეგმები ჰქონდა დაწესებულებას 2 წლიან პერსპექტივაში, თუ როგორ უყურებდა დაწესებულება ამ პროგრამის განხორციელების პერსპექტივას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის 3 წლიანი პერსპექტივა, ვინაიდან პროგრამას უფლების მოპოვების შემთხვევაში 3 წელიწადი ექნება ამ პროგრამის განხორციელებისთვის, და დასძინა, რომ 3 წლიან პერსპექტივაში შესრულებადია.
მარიამ ქუჩულორია ასევე დაინტერესდა, აღნიშნული პროექტი უკვე დასრულებული იყო თუ არა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემდა, ვინაიდან პროექტის მენეჯერი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ამ ეტაპზე საბჭოს წევრებმა მოითათბირეს, რომ ვერ მისცემდნენ ხმას ამ პროგრამის განხორციელების უფლებას, მან ასევე აღნიშნა, რომ №131 დადგენილება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სხვა სახის გადაწყვეტილება მიიღოს საბჭომ, სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს ყველა ის რეკომენდაცია, რაც გაცემული იყო ექსპერტების მიერ და ამის შემდგ თავიდან შემოიტანოს განაცხადი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის „კვების ობიექტების სერვისი და სერვირება“ /01508/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 0
წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ განთიადს (ს/კ: 217890192) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - კვების ობიექტების სერვისი და სერვირება /01508/.
გადაწყვეტილების გაჟღერების შემდეგ ლანა გაჩეჩილაძემ გააკეთა კომენტარი, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ ევალებოდა ექსპერტებს დამატებით მოძიებული განმახორციელებელი პირის დოკუმენტაციის შემოწმება, მაინც ნახეს ექსპერტებმა ეს დოკუმენტაცია, დოკუმენტაციის მიხედვით ამ პირის CV-ში უფრო მეტი ინფორმაციაა, ვიდრე არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, აქედან გამომდინარე, მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ამ კუთხითაც ყურადღებით ემუშავათ.

3. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ /01530/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2023 წლის 3 თებერვლის №118660 ოქმის, ,,სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-სთვის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ '' საბჭოს 2023 წლის 3 თებერვლის №119966 გადაწყვეტილების საფუძველზე, ორგანიზაციამ 2023 წლის 17 თებერვალს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული პროგრამა (განაცხადის ID 01530), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 24 თებერვლის №222182 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა კარმენ ვართანოვამ შეისწავლეს წარმოდგენილი განახლებული პროგრამა.
მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა.
წინა დასკვნაში დაფიქსირებული იყო ხარვეზი 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ პროგრამის პირველი ხუთი სწავლის შედეგი არ იყო აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით და კომპეტენციით, არ იყო დაკონკრეტებული მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას თუ პრაქტიკულ უნარებს, ვინაიდან არ იყო სწავლის შედეგების ფორმულირებაში გამოყენებული შესაბამისი აქტიური ზმნები, ასევე, ბოლო ორი სწავლის შედეგი ფაქტობრივად ერთი შედეგია, თუმცა ფორმულირებულია სხვადასხვაგვარად, ბოლო შედეგში ემატება ჩანაწერი ,,რეალურ სამუშაო გარემოში (პრაქტიკა სამუშაო გარემოში)''.
განახლებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებია:
1. განსაზღვრავს ძირითად სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს
2. ეფექტურ კომუნიკაციას ამყარებს ხაზზე მყოფ პირთან
3. შეუძლია დისტანციური საკომუნიკაციო არხებით შემოსული ზარის მართვა, სტანდარტის დაცვით იყენებს (ERC Phone და ERC 112) პროგრამებს
4. ფლობს ინფორმაციას საქართველოში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მუშაობის პრინციპთან დაკავშირებით
5. იცის რეგიონალური (თბილისს გარეთ ტერიტორია) სასწრაფო სამედიცინო დახმარების ფუნქცია-მოვალეობები
6. იცის დაავადებები, მათი ძირითადი სიმპტომები და აიდენტიფიცირებს ინფორმაციას სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ- ,,112''-ში არსებულ ინციდენტის ტიპებზე
7. შეუძლია დისტანციური საკომუნიკაციო არხებით შემოსული ზარის მართვა, სტანდარტის დაცვით იყენებს (ERC Phone და ERC 112) პროგრამებს, მათ შორის რეალურ სამუშაო გარემოში.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი, რაც მოიცავს პროგრამის დაახლოებით 70-80%-ს. პროგრამა ხორციელდება სრულად სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში “112”, შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო გარემოში და გათვალისწინებულია რეალური ქეისების სასწავლო პროცესში გამოყენება, შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენება სატესტო რეჟიმით და როლური თამაშები.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ზედმიწევნით აქვს შესრულებული რეკომენდაციები და შესაბამისად, მას არ ჰქონდა შენიშვნა.
ლანა გაჩეჩილაძემ გააკეთა კომენტარი აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ვინაიდან განმეორებითი შეფასების დროს მხოლოდ პირველი სტანდარტი იქნა

შეფასებული, თუმცა რეკომენდაციები მეორე სტანდარტთან მიმართებაშიც იყო გაცემული, რაც ამ ეტაპზე არ იქნა შეფასებული ექსპერტის მიერ, დასკვნაში მხოლოდ პირველი სტანდარტის შეფასებაა ასახული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია მეორე სტანდარტთან მიმართებაში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაქტიურად შესრულებულია ის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა მეორე სტანდარტს, კერძოდ რეკომენდაცია ეხებოდა განმახორციელებელი პირების ხელშეკრულებების ხანგრძლივობას. რაც შეეხება ხელშეკრულების ხანგრძლივობას, სამწუხაროდ ეს სამინისტროს სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ ხერხდება, თუმცა მიმდინარე პროცესში ხელშეკრულებები განახლებულია და რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ /01530/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს (ს/კ: 205390487) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი /01530/ **(დანართი).**

4. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ-2“-ის „მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01552/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა გივი დოლიძემ, მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 29 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამის „მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის მონტაჟი“ განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 თებერვლის ბრძანების მიხედვით, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ 13 თებერვალს განხორციელდა ვიზიტი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ექსპერტს წინასწარ მიეწოდა კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ სხვა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. ექსპერტმა და საბჭოს აპარატმა შეისწავლა აღნიშნული მასალები და შეიმუშვა „დღის წესრიგი“, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა კოლეჯს. შეფასდა „მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის მონტაჟი“ პროფესიული მომზადების პროგრამის შესაბამისობა მთავრობის №131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანართთან, ამავე მუხლის მეორე პუნქტთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლთან.

ვიზიტის დროს განხორციელდა შეხვედრა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან და ბიბლიოთეკართან. შემოწმდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, მექანიზმებს და კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები.

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამა „მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის მონტაჟი“ უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების პერსპექტივებს. პროგრამის საჭიროების დასაბუთების ნაწილში დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამშენებლო დარგის განვითარებამ, სახელმწიფოს ჩართულობამ და კერძო პირების ინტერესებისა და მოთხოვნების თანხვედრამ წარმოშვა მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურის არსებობის საკითხი და შესაბამისად, დადგა ისეთი მაღალკვალიფიციური კადრების არსებობის საჭიროება, რომლებიც მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის სამონტაჟო სამუშაოებს შეასრულებენ. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ პარტნიორი კომპანია საჭიროებს ამ პროფესიის კადრების არსებობას და გამოხატავს მზაობას მათი დასაქმებისთვის სამშენებლო ობიექტებზე. მათ ჰყავთ მათ მიერვე გადამზადებული კადრები სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა კომპანიისთვის სწავლების პროცესი რთულია და საჭიროებენ კოლეჯის დახმარებას. ასევე აღინიშნა, რომ მათ მიერ გადამზადებულ კადრებს აგზავნიან სხვადასხვა კომპანიებში, ვინაიდან მოთხოვნა დიდია.

მან ასევე ისაუბრა პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან და პროგრამის თემატიკიდან. რაც შეეხება პროგრამის მიზანს, ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანი აზრობრივად გასაგებად არის ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ასაკი - 18 წელი და საბაზო განათლება.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 კვირას, კვირაში 12 საათი, ჯამში 60 საათი.
მან დასძინა, რომ პროგრამა ითვალისწინებს 4 სწავლის შედეგის მიღწევას:
1. მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის და სინათლის გამტარი სისტემების აზომვითი ნახაზის შექმნა;
2. მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის ტრანსპორტირება და მონტაჟი;
3. საფასადე სინათლის გამტარი და მინის სისტემების მონტაჟი;
4. დამონტაჟებული მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის და სინათლის გამტარი სისტემების ხარვეზების აღმოჩენა და აღმოფხვრის ღონისძიებები.
პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი.
პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის 70-80% ეთმობა.
ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო აუდიტორიის და C გარემოს დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი, შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
დაწესებულებაში შემუშავებულია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, დოკუმენტის მე-4 მუხლში დეტალურად არის გაწერილი პროფესიული მომზადების პროგრამებზე მსმენელთა შეფასების წესი და შეფასების შედეგის გასაჩივრების პროცედურები.
გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება იგეგმება ერთობლივად, ბოლო კვირაში, თუმცა ელექტრონული სისტემის მიერ გენერირებული პროგრამის მიხედვით, ბოლო კვირაში არ არის მითითებული ოთხივე სწავლის შედეგი, რეკომენდირებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.
მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით, აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არის ყველა პირობა მსმენელების სწავლებისა და ცხოვრებისათვის. კოლეჯის ტერიტორიაზე განთავსებულია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საერთო საცხოვრებელი. კოლეჯის ინფრასტრუქტურის მოწყობა დაფინანსებულია სამშენებლო კომპანია m2-ის მიერ, კომპანიის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კომპანია მომავალშიც გააგრძელებს ზრუნვას კოლეჯზე და შეუქმნის მსმენელებს კომფორტულ გარემოს.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. ამის დასადასტურებლად დაწესებულებამ პროგრამასთან ერთად წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების სწავლების გამოცდილება, ამდენად შემოწმდა მონაცემთა ელექტრონული სისტემა. ვიზუალურად დათვალიერდა ბაზა, თუ როგორ ახდენენ მონაცემების ბაზებში საჭირო ინფორმაციის ასახვას. მონაცემთა ელექტრონული სისტემაში კარგად იყო ასახული ინფორმაცია თითოეული მსმენელის შემთხვევისათვის. დაწესებულების მხრიდან დაცულია ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ასახვის ვადები. ინტერვიუირებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №71/ნ ბრძანებით „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“. დაწესებულებაში გამოყოფილია პირი, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციის მონაცემთა ბაზებში ასახვაზე. ბაზაში ინფორმაციის ასახვის ვადებს აკონტროლებს იურისტი კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს - სერტიფიკატს და შესაბამის დანართს.
როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულება ახორციელებს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს /სერტიფიკატს. წარმოდგენილ იქნა გაუცემელი დამზადებული სერტიფიკატებიც.
ვიზიტის დროს გადამოწმდა სერტიფიკატების გაცემის ჟურნალი, სადაც დაწესებულება აღრიცხავს გაცემულ სერტიფიკატებს და გადამოწმდა ელექტრონულ სისტემა, სადაც ატვირთულია სერტიფიკატები და დანართები.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რეკომენდაცია 1.10 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ
1.10 ქვესტანდარტი - გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება იგეგმება ერთობლივად, ბოლო კვირაში, თუმცა ელექტრონული სისტემის მიერ გენერირებული პროგრამის მიხედვით, ბოლო კვირაში არ არის მითითებული ოთხივე სწავლის შედეგი,
რეკომენდირებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.
მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა განხორციელდება დაწესებულების A და C გარემოში, თითოეული გარემო გათვლილია - 15 მსმენელზე.
დარგის ექსპერტმა პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
ასევე მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ სურვილი გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კარგია, რომ დაწესებულებას მიეცა საშუალება გაეთვალისწინებინა ის რეკომენდაციები, რაც დარგის ექსპერტების მიერ იქნა გაცემული და მათ მადლობა გადაუხადა.
დაწესებულების წარმომადგენელმა თამთა კვინიკაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია ენერგოეფექტურობის ცენტრთან თანამშრომლობით, მან დასძინა, რომ დაწესებულება ახორციელებს 10 მოკლევადიან პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამას, შესაბამისად აქვს გამოცდილება, მან აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა ძალიან მოთხოვნადია ბაზარზე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ახალი რეგულაციები შემოვიდა ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვანია ამ პროგრამის განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ-2“-ის „მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01552/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ-2“-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის მონტაჟი /01552/ **(დანართი).**
კენჭისყრის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ წარმატება უსურვა დაწესებულებას და დასძინა, რომ იმედი აქვს, რომ მოკლე ხანში დაამატებდნენ მეორე განმახორციელებელ პირს.

5. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „PHP დეველოპინგის“ /01544/ პ როფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ /01545/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა გიორგი დათუკიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 12 იანვრის №20906 და №20907 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა გიორგი დათუკიშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „PHP დეველოპინგის“ და „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2023 წლის 27 იანვარს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა ორივე პროგრამის პარამეტრებზე და აღნიშნა, რომ „PHP დეველოპინგის“ პროფესიული მომზადების პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, აღნიშნულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 42, ხოლო „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ პროფესიული მომზადების პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, პროგრამაზე მსმენელეთა ზღვრული რაოდენობა 42, წარმოდგენილი პროგრამები განხორციელდება მისამართზე - ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №3.
გიორგი დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რეკომენდაციები ორივე პროგრამასთან მიმართებაში, კერძოდ:
პროფესიული მომზადების პროგრამა - „PHP დეველოპინგი“
ქვესტანდარტი 1.6

რეკომენდებულია მეექვსე სწავლის შედეგის „დავალების შესაბამისი ცხრილების სტრუქტურის შექმნა“ მიღწევის მიზნით გაღრმავდეს მონაცემთა ბაზების რიგი საკითხები:

- რელაციული მოდულის გააზრება
- ნორმალიზაცია
- ცხრილებს შორის კავშირების ტიპები
- პირველადი და გარე გასაღები

პროფესიული მომზადების პროგრამა - „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“

ქვესტანდარტი 1.6

რეკომენდებულია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით თემატიკას დაემატოს შემდეგი ფუნქციები:
YEAR, DAY, EOMONTH, NETWORKDAYS.INT, WORKDAY, WORKDAY.INT
HOUR, SECOND, MINUTE
REPLACE, SUBSTITUTE
IFNA
2019 წლის ფუნქციები

ქვესტანდარტი 2.3

რეკომენდებულია სასწავლო რესურსების ჩამონათვალში 2016 წლის ლიტერატურა ჩანაცვლდეს 2019 წლის ვერსიით.

შემდეგ დარგის ექსპერტმა ისაუბრა ყველა ქვესტანდარტთან მიმართებაში, მან აღნიშნა, რომ ორივე პროგრამის შემთხვევაში წარმოდგენილი პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების პერსპექტივებს, პროგრამის საჭიროების დასაბუთების ნაწილში დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების საჭიროების დოკუმენტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advance)“ და „PHP დეველოპინგი“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან და პროგრამის თემატიკიდან. ორივე პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, კერძოდ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advance)“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, ტესტირება მათემატიკურ უნარებში, ტესტირება ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის B1 დონის დადასტურება. ხოლო „PHP დეველოპინგის“ პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, HTML; CSS; JavaScript პროგრამების საბაზისო ცოდნა; ტესტირება - HTML; CSS; JavaScript პროგრამების საბაზისო ცოდნის გამოვლენა/დადასტურება; ინგლისური ენის B1 დონის დადასტურება. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება და გამოცდა.

წარმოდგენილ პროგრამებზე პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამებში გამოყენებულია შემდეგი სწავლის მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული სავარჯიშო.

ორივე პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. კოლეჯში თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ინტეგრირებულია პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მან ასევე აღნიშნა, რომ მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე,

სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ჯამური საათების ნახევრის ათვისების შემდეგ. დასკვნითი შეფასება მოიცავს შესწავლილი თემატიკის ფარგლებში პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას პროექტის მომზადებისა და წარდგენის გზით.
მან ასევე ისაუბრა მეორე და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და დასძინა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებდა დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. მან ასევე, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ცენტრს თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „PHP დეველოპინგის“ /01544/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - PHP დეველოპინგი /01544/ **(დანართი).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 14 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ /01545/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced) /01545/ **(დანართი).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 14 მარტი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:10 საათზე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო



_____

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიძე ზაირა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01320	ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	14	ქართული	15	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01530	საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	30	ქ. რუსთავი, ზ. ფალიაშვილის ქ. №1

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01552	მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრის მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	5	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქ. №28

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01544	PHP დეველოპინგი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	42	ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის №3

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01545	მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)	პროფესიული მომზადება	მესამე	9	ქართული	42	ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის №3